ო ქ მ ი N17

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 22 აგვისტო

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 14

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 13

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. მამუკა ქარდავა
2. ტარიელ ალექსანდრია
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. ნუგზარ შუმანია
6. ედიშერ წურწუმია
7. ვასილ კუკავა
8. თენგიზ აბაკელია
9. ლევან ქავთარაძე
10. როსტევან გვარამია
11. მალხაზ ლაგვილავა

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა მამუკა ქარდავა – საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 21 აგვისტოს N05/3620 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 21 აგვისტოს N05/3620 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 14 ივნისის N1/1-1336 ბრძანების საფუძველზე აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ჩასატარებლად, ხობის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა დამატებითი ქონების სახით, 1667 ლიტრი ინსექტიციდი ზონდერი - 1243 ჰა ხილის ფართობზე, ორ ეტაპად წამლობის ჩასატარებლად. პირველ ეტაპზე გაიხარჯა 836 ლიტრი ინსექტიციდი, ხოლო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილით, სააგენტო ითხოვს ნაშთად დარჩენილი 831 ლიტრი ინსექტიციდი ზონდერის, უსასყიდლოდ გადაცემას, მისი შემდგომში სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის გადასაცემად. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მამუკა ქარდავა